

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“



სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

საკონკურსო დოკუმენტაცია

წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურის შენობის
სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების
ჩასატარებლად საჭირო
საინჟინრო-საპროექტო მომსახურების
შესყიდვა
(CPV - 71300000)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი 2013 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ----- 3 გვ.
2. ხელშეკრულების პროექტი ----- 6 გვ.
3. დანართი #1 (აფიდავიტი) ----- 11 გვ.
4. დანართი #2 (კონკურსანტის შეთავაზება) ----- 12 გვ.
5. დანართი #3 (ტექნიკური დავალება) ----- 13 გვ.

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ აცხადებს კონკურსს საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. წალენჯიხაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კუთვნილი შენობის (მის: ლეო ჭურღულიას ქ. №5), სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. კონკურსის მსვლელობისას კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს პროექტი, რომელშიც იქნება როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრით დამაკმაყოფილებელი, თანამედროვე და შემსყიდველის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისობაში.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **4700 ლარს (ოთხი ათას შვიდასი).**
5. დაფინანსების წყარო: სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები, პროგრამა- ადმინისტრაციული მართვა და კონტროლი.
6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- 7.1. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები	მიმღები: სსიპ -კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	IBAN: GE52BR0000010591718543

- 7.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-7 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
11. საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება **2013 წლის 30 მაისის 15:00** საათიდან და დასრულდება - **2013 წლის 31 მაისის 15:00 საათზე.**
12. დაინტერესებულმა პირმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2013 წლის 31 მაისის 15:00 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზ. #67ა, სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ მე-4 სართული შესყიდვების სამსახური ოთახი #407.**
13. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება და საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება - **2013 წლის 31 მაისის 15:00 საათზე.**
14. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

16. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0,5
2	საკონკურსო წინადადების ფასი:	0,3
3	გამოცდილება (მათ შორის სპეციალისტების გამოცდილება)	0,2
	სულ:	1.0

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიენიჭებული ქულა.

19. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტები მოიწვიოს ზეპირ ვაჭრობაზე, რომლის ჩატარების დრო და ადგილი კონკურსანტებს ეცნობებათ დამატებით წერილობითი სახით.
20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

21. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს:

- 21.1. საკონკურსო წინადადების ფასი **დანართი #2**-ის მიხედვით (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
- 21.2. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა **დანართი #3**-ში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF-ის ფაილით) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:
 - ▶ საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
 - ▶ სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
 - ▶ განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
 - ▶ შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა
 - ▶ მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაცია (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები).
 პროექტის გრაფიკული ნაწილი:
 - ▶ შენობის ყველა ფასადი მ1:200 (გრაფიკული);
- 21.3. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ ანალოგიური მომსახურების მინიმუმ 3 რეალიზებული პროექტის მითითებით (ხელშეკრულების საგნის, დამკვეთის და მისი საკონტაქტო პირის ტელეფონის მითითებით);
- 21.4. ინფორმაცია პროექტზე მომუშავე კადრების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ;
- 21.5. აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) **დანართი #1**-ს მიხედვით.

22. საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ მოითხოვება.
23. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.
24. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

25. მიწოდების პირობები და ვადები:

- 25.1. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტი შედგენილი და ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნას მიწოდების ობიექტი **დანართი #3**-ში მითითებული პირობების გათვალისწინებით, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი დაბეჭდილი სახით A3 ფორმატით და ელექტრონული ვერსიით **ArchiCAD**-ის ან **AutoCAD**-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი **PDF** ფაილის სახით ელექტრონულ მატარებელზე, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადები;
- 25.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ნებართვების მისაღებად, მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი #67ა, საკონტაქტო პირი: ოლეგ დოლიძე, ტელ: (+995 32) 235-79-45, 577614462, ლაშა ბოკუჩავა ტელ: (+995) 77614444

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი CPV-71300000)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მისამართი: ქ. აკ. წერეთლის გამზ. #67ა;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202307404;
საბანკო რეკვიზიტები: -----;
ბანკის კოდი: -----;
ანგ/ნომერი: -----;
(შემდგომში “შემსყიდველი”)

და მეორეს მხრივ, ----- წარმოდგენილი ----- სახით
მისამართი: -----

საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი:
ა/ა:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი -----

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: -----

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები დანართი #_** შესაბამისად.
- 2.2 CPV კოდი - 71320000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.
- 2.3 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს (მათ შორის იგულისხმება შესაბამისი ექსპერტიზის ჩარტარება), მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
- 3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.
- 3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 3.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ოლეგ დილიძე.

4. მიწოდების პირობები და ვადები

- 4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია **ArchiCAD**-ის ან **AutoCAD**-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი **PDF** ფაილის სახით) **დანართ #_**-ში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად და შესაბამისი ნებართვების მისაღებად.
- 4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.
- 4.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების განხორციელების დროს, წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარშე.
- 4.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი სახსრებით აუნაზღაუროს „შემსყიდველს“ იმ დამატებითი სამუშაოების, მომსახურების, საქონლის ღირებულება თუ აღმოჩნდა რომ სამშენებლო სამუშაოების ღირებულება იზრდება სამუშაოების მიმდინარეობისას პროექტის/ხარჯთაღრიცხვის არასწორად შედგენის მიზეზით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

- 5.2 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს ღირებულება და შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.
- 5.3 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ოლეგ დოლიძე.

6. ფასი და ანგარიშსწორება

- 6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწვევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- 6.2 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახარტალრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.
- 6.3 დაფინანსების წყარო: **2013 წლის შემსყიდველის კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან (პროგრამა– ადმინისტრაციული მართვა და კონტროლი.)**
- 6.4 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 6.5 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

- 8.1 მიმწოდებლის მიერ შექმნილ პროექტზე საავტორო უფლებით სარგებლობს შემსყიდველი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 9.3 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება შემსყიდველის მიერ ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
- 9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 10.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- 10.1.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;
- 10.1.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 10.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- 10.3.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 10.3.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
- 10.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 10.4 ამ ხელშეკრულების 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

- 11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 12.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

- 13.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ენა

- 14.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის“ მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2013 წლის 31 დეკემბრამდე**.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტო“

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე. გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინანდების ღირებულება	

ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებას, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სახელმწიფო გადასახადებს.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს წალენჯიხაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კუთვნილი შენობის (მის: ლეო ჭურღულიას ქ. №5), სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს მთლიანი შენობის შიდა და გარე არქიტექტურულ, კონსტრუქციულ, საინჟინრო (მათ შორის: ა) შიდა წყალ-კანალიზაციის პროექტი; ბ) ელექტროობის პროექტი; გ) სატელეფონო და კომპიუტერული ქსელის პროექტი, დ) გათბობა-კონდიციონერება-ვენტილაციის პროექტი; ვ) სახანძრო უშიშროებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის პროექტი; ზ) გარე ფასადის სამუშაოები) და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს, მ.ო.პ.-ს, პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკს და ხარჯთაღრიცხვას.

პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე და აუცილებელი მოთხოვნები, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციური თვალსაზრისით.

შენობა არის ორ (2) სართულიანი; I სართული წარმოადგენს ნახევარსარდაფს, ხოლო II სართული განთავსებულია მაღალ ბელეტაჟზე.

შენობის II სართულზე განთავსებული უნდა იყოს შემდეგი საოფისე ფართებით: ა) მოქალაქეთა მისაღები დარბაზი, სადაც უნდა განთავსდეს სავარაუდოდ შვიდი(7) დახლი და 1 ფოტო ჯიხური; ბ) ორი (2) სამუშაო ოთახი; გ) უფროსის კაბინეტი; დ) არქივი; ე) თანამშრომელთა მოსასვენებელი ოთახი – სამზარეულო; ვ) საპირფარეშო.

შენობის I სართულზე უნდა განთავსდეს: ა) საქვაბე; ბ) საგენერატორო; გ) საწყობი.

საჭიროების შემთხვევაში პროექტის ავტორი ვალდებულია საკუთარი ხარჯით მოიპოვოს ტოპოგრაფიული ნახაზი.

არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, არსებული ევროპული ნორმების და სტანდარტების გათვალისწინებით.

არსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური დახასიათება:

1. განაშენიანების ფართი – 183.57 მ².
2. I სართულის (ნახევარსარდაფის) შიდა სასარგებლო ფართი – 142.97 მ².

3. II სართულის შიდა სასარგებლო ფართი – 137.14 მ². + 13.05 მ² კიბის სექტორი.
4. I სართულის (ნახევარსარდაფის) ჭერის სიმაღლე h¹- 2.30 მ.
5. II სართულის ჭერის სიმაღლე h²- 2.65 მ.
6. სახურავის ფართი – 190.00 მ².
7. შენობის ფასადის ფართი – 306.60 მ².
8. შესასვლელი ვიტრაჟი: ერთი(1) – 2.30X3.90 (მ).
9. კიბის უჯრედის ფართობი – 8 მ², სიმაღლე h- 1.90 მ.
10. კარები: ცხრა(9) – 2.10X0.65 (მ), ერთი(1) – 2.10X1.30 (მ).
11. ფანჯრები: ცხრა(9) – 2.00X1.30 (მ), ერთი(1) – 2.30X2.60 (მ).
12. ღიობები (ნახევარსარდაფის): რვა(8) – 0.40X1.60 (მ).

კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური აღწერა:

1. საძირკველი – რკ. ბეტონი.
2. გარე, შიდა კედლები – წიდა ბლოკი, აგური.
3. სართულშორის გადახურვა – რკ. ბეტონი.
4. სახურავი – ბრტყელი, თუნუქი.

შენობას მიკუთვნებული გარე განაშენიანების ფართი – დაახლოებით 117 კვ.მ.

პროექტის შემუშავებისას შემსყიდველი ორგანიზაცია შემსრულებელს მიაწვდის კონკრეტულ მოთხოვნებს და მასთან არსებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.

საბოლოო პროექტის და მშენებლობის საწარმოებლად საჭირო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 1 თვე.

კონკურსანტს აქვს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

კონკურსანტმა ნაბეჭდი სახით უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეფცია, ვიზუალი და კონცეფციის განმარტებითი ბარათი „სავარაუდო სიტუაციური გეგმა-ნახაზი“-ს გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული უნდა გაერთიანდეს და წარმოდგენილ იქნას ერთიანი პრეზენტაციის სახით.

არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად.

კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

დანართი –1. არსებული შენობის I სართულის (ნახ.სარდაფის) აზ. ნახაზი

2. არსებული შენობის II სართულის აზ. ნახაზი;

3. შენობაში განსათავსებელი სამუშაო დახლი;

4. არსებული შენობის ამსახველი ფოტო მასალა;

5. მე-2 სართულის სავარაუდო სიტუაციური გეგმა–ნახაზი, რომლის გათვალისწინებითაც კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეპცია.